

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. საფაჭრო და სხვა მოთხოვნები.	14
6. საფაჭრო ვალდებულებები.	14
7. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
8. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
9. . კომერციული დანახარჯები	15
10. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
11. ფინანსური შემოსავალი.	16
12. ფინანსური დანახარჯები.	16
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

შენიშვნა		31/12/2021	31/12/2020	01/01/2020
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	4	220,414	354,004	100,658
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	5	218,218	235,883	171,527
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	0	503,183	320,197	270,153
სულ მიმდინარე აქტივები		941,815	910,084	542,338
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		593,564	567,154	481,460
სულ გრძელვადიანი აქტივები		593,564	567,154	481,459
სულ აქტივები		1,535,379	1,477,238	1,023,797
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი		-	90,940	-
საფაქრო ვალდებულებები	6	556,382	382,225	337,054
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		26,342	58,837	26,791
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		465	424	352
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		583,189	532,426	364,197
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		103,454	243,308	274,135
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		103,454	243,308	274,135
სულ ვალდებულებები		686,643	775,734	638,332
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		848,736	701,504	385,465
სულ საკუთარი კაპიტალი		848,736	701,504	385,465
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებ		1,535,379	1,477,238	1,023,797

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 4 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვლადიმერი აბაჯიანი

მთ. ბუღალტერი ----- პაატა წულაია

შპს კასა ტრედი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	7	2,152,271	2,137,902
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	8	(336,652)	(473,300)
საერთო მოგება		1,815,619	1,664,601
სხვა შემოსავალი		8,388	11,099
კომერციული დანახარჯები	9	(4,839)	(16,251)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,648,531)	(1,292,644)
დადებითი საკურსო სხვაობა		772	12,321
ფინანსური შემოსავალი	11	7,398	7,461
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(7,791)	(36,877)
ფინანსური დანახარჯები	12	(27,819)	(33,672)
მოგება დაბეგვრამდე		143,197	316,039
მოგების გადასახადის ხარჯი			-
მიმდინარე წლის მოგება		143,197	316,039
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		143,197	316,039
		0.00	-

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 4 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვლადიმერი აბაჯიანი

მთ. ბუღალტერი ----- პაატა წულაია

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კასა ტრედი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუზიარებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	216,165	-	216,165
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	169,301	-	169,301
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	385,465	-	385,465
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	316,039	-	316,039
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	701,504	-	701,504
სხვა ცვლილება	-	4,035	-	4,035
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	143,197	-	143,197
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	848,736	-	848,736

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 4 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვლადიმერი აბაჯიანი

მთ. ბუღალტერი ----- პაატა წულაია

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კასა ტრედი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2021	საანგარიშგებო პერიოდი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,741,875	2,542,278
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(867,676)	(969,130)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(984,018)	(816,565)
გადახდილი გადასახადი	(654,452)	(487,267)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(12,004)	(13,062)
გადახდილი პროცენტები	(21,793)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	201,933.17	256,254.47
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(87,002)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(87,002)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	(247,668)	(6,563)
დივიდენდის გაცემა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(247,668)	(6,563)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(853)	3,654.74
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(133,590)	253,345.92
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	354,003.92	100,658.00
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	220,413.65	354,003.92

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 4 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვლადიმერი აბაჯიანი

მთ. ბუღალტერი ----- პაატა წულაია

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „კასა ტრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2009 წლის 10 სექტემბერს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 206344213, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ნ. ბოხუას #4. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მენილერები არიან:

ვლადიმერ აბაჯიანი 01010015156 – 25%;

დავით არჩვაძე 01024017292 - 75%;

კომპანიის დირექტორია ვლადიმერ აბაჯიანი 3/6 01010015156.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები, სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა. კომპანიას არ აქვს ფილიალები.

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეიღობილი საწარმოები და მეკავშირე საწარმოები.

ნესღების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამონერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით მსს გასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, აფასების სხვაობაზე დარიცხული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა ნაგებობები - 25 წელი;

მიმოსვლის გზები - 25 წელი;

ნაგებობები - 20 წელი;

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-10 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2021	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	575	688	742
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	213,945	304,711	99,689
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	5,894	48,605	227
სულ	220,414	354,004	100,658

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. საეჭრო და სხვა მოთხოვნები.

საეჭრო მოთხოვნები შედგება:

	2021	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	151,946	159,509	129,997
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	66,272	36,319	6,560
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	40,055	34,970
სულ	218,218	235,883	171,527

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭრო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. ძირითადი საშუალებები:

	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე სანარმოებში	-	-
ძირითადი საშუალებები	593,564	567,154
სულ	593,564	567,154

7. საეჭრო ვალდებულებები.

საეჭრო ვალდებულებები შედგება:

	2021	2020	2019
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ. ვალდებულება	96,968	33,830	33,380
მიღებული ავანსი	452,632	340,482	296,367
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,783	7,914	7,308
სულ	556,382	382,226	337,054

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

შპს კასა ტრედი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

8. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2021	2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	813,127	1,037,259
შემოსავალი მომსახურებიდან	1,339,144	1,100,642
სულ	2,152,271	2,137,901

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2021 წლის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება შედგება:

	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	322,502	469,773
სხვა ნედლეული	14,150	3,527
სულ	336,652	473,300

10. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2021 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2021	2020
რეკლამის ხარჯი	3,626	5,509
მინოდების სხვა ხარჯი	-	720
ტრანსპორტირების და სენახვის ხარჯი	1,214	10,023
სულ	4,839	16,251

შპს კასა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2021 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,249,146	1,001,819
საიტარო ქირა	18,308	19,289
კომუნალური ხარჯი	9,705	8,906
სამეურნეო ხარჯი	7,578	6,308
კომუნიკაციის ხარჯები	221,905	189,108
საწვავის ხარჯი	17,412	14,646
საკონსულტაციო ხარჯები	9,000	12,300
შივლინების ხარჯი	4,457	3,034
ძირითადი საშუალების ცვეთა	60,538	10,594
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	6,087	4,875
საბანკო ხარჯები	7,272	13,158
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	37,122	8,607
სულ	1,648,531	1,292,644

12. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2021 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2021	2020
სხვა შემოსავალი	8,388	7,461
სულ	8,388	7,461

13. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2021 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2021	2020
არასაოპერაციო ხარჯი	474	928
საპროცენტო ხარჯი	21,906	30,384
პირგასამტეხლო	5,439	2,360
სულ	27,819	33,672

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 26 სექტემბერს.